

**ადმინისტრაციული სამართალდამრღვევისათვის ოქმით დაკისრებული ჯარიმის
აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის ამოწერის წესი**

1. სამართალდამრღვევა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტების გათვალისწინებით:

- ა) გადამხდელის ვინაობა;
- ბ) დანიშნულება – უნდა მიეთითოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი;
- გ) საბანკო კოდი: TRESGE22;
- დ) სახაზინო კოდი: 302003243.

2. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) სამართალდამრღვევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში უნდა წარადგინოს სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში (მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144).

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ 30 (ოცდაათი)-დღიან ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიუხედავად სამართალდამრღვევის მიერ ოქმის გასაჩივრებისა, უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ ამოიწერება სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს და დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.